ადრესატი: ანა მაღლაკელიძე
პირადი ნომერი: 01017051105
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლადო ასათიანის ქუჩა, N 15, ელექტრონული ფოსტა: foi+request-2289-a01c1f19@askgov.ge

წერილის ნომერი: **34-342313958**
თარიღი: **19/05/2023**

ქალბატონო ანა,

,,მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების - მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის N2205-ს დადგენილების თანახმად, მცხეთის მუნიციპალიტეტი გაიყო თვითმმართველ ქალაქად და თვითმმართველ თემად, ხოლო ,,გორის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთის, თელავის, ახალციხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 15 ივნისის N987-II დადგენილების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი მცხეთა და მცხეთის მუნიციპალიტეტი გაერთიანდა ერთ თვითმმართველ ერთეულად - მცხეთის მუნიციპალიტეტად. ამდენად, თქვენი 2023 წლის 23 აპრილის განცხადებით (მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის N19/342311425-34, 24.04.2023წ.) მოთხოვნილი ინფორმაცია - 2010-2023 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებსა და სსიპ-ებში მიღებულ და გათავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ, გეგზავნებათ თვითმმართველი თემის და თვითმმართველი ქალაქის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შემდგომი პერიოდიდან, 2018 წლიდან:

- მუნიციპალიტეტის მიერ, 2018 წელს დაფუძნებულ 9 ა(ა)იპ-ში, მიღებულ იქნა 900 თანამშრომელი, 2018 წელს დაფუძნებულ 9 ა(ა)იპ-ს დაემატა 2 ახალი ა(ა)იპ და 2019 წელს, 11 ა(ა)იპ-ში სულ მიღებულ იქნა - 287 თანამშრომელი; 2020 წელს - 63, 2021 წელს - 68, 2022 წელს -117, ხოლო 2023 წელს - 33 თანამშრომელი.

- 2018 წელს, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 9 ა(ა)იპ-იდან სულ გათავისუფლებულ იქნა 51 თანამშრომელი, 2019 წელს, 11 ა(ა)იპ-დან - 123 , 2020 წელს - 72, 2021 წელს - 74, 2022 წელს - 87 და 2023 წელს - 24 თანამშრომელი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოთ მითითებულ პერიოდში, მუნიციპალიტეტის მიერ სსიპ-ების დაფუძნებას ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი